თამარ ორჯონიკიძე •

დამფუძნებელი კრების საქართველოში დარჩენილი დეპუტატები: პირველი რეპრესიები••

აბსტრაქტი

საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის (1921 წლის 17 მარტს) დადგენილებით ემიგრაციაში უნდა წასულიყვნენ დამფუძნებელი კრების ის დეპუტატები, რომლებსაც რეპრესიები ემუქრებოდათ. დეპუტატთა უმრავლესობა საქართველოში დარჩა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საბჭოთა ოკუპაციის პირობებში რეპრესიები ფაქტობრივად ყველას ემუქრებოდა. სტატიაში განხილულია საბჭოთა რეპრესიების „პირველი ტალღა“ 1921 წელს, როდესაც დააპატიმრეს 29 დეპუტატი, მათი ნაწილი შემდეგ გაანთავისუფლეს, თუმცა ეს მხოლოდ რერპრესიების დასაწყისი იყო.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა; საქართველოს დამფუძნებელი კრება; საბჭოთა რეპრესიები.

საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის და ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 17 მარტის სხდომაზე, რომელიც ბათუმში ჩატარდა, გადა-

---

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი

•• მოხსენება 2022 წლის 12 დეკემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ კონფერენციაზე „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“

წყვიტა, მთავრობა ემიგრაციაში წასულიყო და იქიდან ებრძოლა საქართველოს გათავისუფლებისათვის.

საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებითა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტის გადაწყვეტილებით, პარტიის წევრებისა და დამფუძნებელი კრების დეპუტატთა უმრავლესობა ქვეყანაში უნდა დარჩენილიყო და მუშაობა გაეგრძელებინა, საზღვარგარეთ კი მხოლოდ დეპუტატთა ის ნაწილი უნდა წასულიყო, რომელთაც საფრთხე ემუქრებოდათ საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან. თუმცა როგორც აღმოჩნდა საფრთხე ემუქრებოდა ყველას.

დამფუძნებელი კრების დეპუტატთა დაპატიმრებები რამდენიმე ეტაპად განხორციელდა; 1921 წლის განმავლობაში დამფუძნებელი კრების 29 დეპუტატი დააპატიმრეს. მათ სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული მიზეზის გამო აპატიმრებდნენ, თუმცა გარკვეული გარემოებების გამო მალევე ათავისუფლებდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი კვლავ აღმოჩნდნენ რეპრესიების ქვეშ.

1921 წლის მარტი

1921 წლის 17 მარტს დააკავეს საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატები „დაშნაკცუთიუნის“ წარმომადგენლები, ტიგრან ავეტისიანი და გარეგინ ტერ-სტეფანიანი, თუმცა მათი პატიმრობა მცირე ხანს გაგრძელდა - ამავე წლის აპრილშივე მათ ლოიალობა გამოუცხადეს საბჭოთა ხელისუფლებას და პატიმრობიდან გათავისუფლდნენ (საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919. გვ. 54).

1921 წლის აპრილი

აპრილში დაფუძნებელი კრების დეპუტატთა დაპატიმრებები 17 აპრილს დაიწყო, როდესაც ისინი თბილისის დაცვისას დაღუპულთა ორმოცს აღნიშნავდნენ. სამსონ დადიანმა და ვლასა მგელაძემ საძმო საფლავთან ხალხს სიტყვით მიმართეს. აღნიშნული სიტყვის შემდეგ დააპატიმრე სამსონ დადიანი (ს/ფ), ვლასა მგელაძემ (ს/დ) კი მიმალვა მოასწრო.

29 აპრილს ქუთაისში დააპატიმრეს გოგიტა ფაღავა (ს/დ). ის აგვიტოში გაათავისუფლეს ავადმყოფობის გამო. ფაღავამ იატაკ-ქვეშა მუშაობას შეუდგა.

30 აპრილს დააპატიმრეს ვლადიმერ ჯიბლაძე (ს/დ) და სამ-ტრედიის რევკომის მიერ გაცემული დახვრეტის რეკომენდაციით გადააგზავნეს თბილისში.

ჭიათურაში დააპატიმრეს ზაქარია გურული (ს/დ) და ქუთაისიდან თბილისში გადააგზავნეს.

1921 წლის მაისი

1921 წლის მაისში დაპატიმრებები პირველ რიცხვში დაიწყო; ქუთაისში რევკომის წევრზე, გეგეჭკორზე თავდასხმის შემდეგ სა-ოკუპაციო რეჟიმის მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ლიდერებსა და პარტიათა წარმომადგენლებს შეეხო საბჭოთა რეპრესიები. დააპა-ტიმრეს გრიგოლ ცინცაბაძე (ს/დ), გიზო ანჯაფარიძე (ს/დ), იოსებ ირემაშვილი (ს/დ) (აღსანიშნავია, რომ ირემაშვილი პირველი დამა-ტებითი არჩევნების შედეგად აღარ იყო დამფუძნებელი კრების წევრი).

1921 წლის მაისი

1921 წლის მაისის მომდევნო ტალღის დაპატიმრებები დაუ-კავშირდა 26 მაისის აღნიშვნის მოლოდინს-მოსალოდნელი გართუ-ლებების თავიდან აცილების მიზნით პოლიტიკური ლიდერების დაპატიმრება დაიწყო (იხ. „პოლიტიკა“, 2019 N 4)

აღსანიშნავია, რომ რევკომმა საქართველოს დამოუკიდებ-ლობის დღის ოფიციალურად აღნიშვნა გადაწყვიტა. პარტიებმა კი აღნიშნულ ოფიციალურ ღონისძიებებს ბოიკოტი გამოუცხადეს. 22 მაისს გრიგოლ ურატაძე (ს/დ) დააკავეს. დააპატიმრეს ასევე ანანია სალუქვაძე, რომელიც 6 ივნისს გაათავისუფლეს ხელწერილის და-წერის შემდგომ, ქალაქიდან გაუსვლელობის პირობით, თუმცა ის მიიმალა და ფარულად განაგრძო საოკუპაციო რეჟიმთან ბრძოლა. აღსანიშნავია, რომ რევკომმა საქართველოს დამოუკიდებლობის

დღის ოფიციალურად აღნიშვნა გადაწყვიტა. პარტიებმა კი აღნიშნულ ოფიციალურ ღონისძიებებს ბოიკოტი გამოუცხადეს.

1921 წლის მაისი

1921 წლის მაისის დაპატიმრებების ტალღა დამოუკიდებლობის აღნიშვნის გამო გაგრძელდა. ოზურგეთში 26 მაისის მიტინგზე სიტყვით გამოსვლის გამო დააპატიმრეს დამფუძნებელი კრების დეპუტატი და ოზურგეთის ქალაქისთავი გიორგი მურვანიძე (ს/დ).

1921 წლის ივნისი

1921 წლის ივნისს დააპატიმრეს დამფუძნებელი კრების დეპუტატები „ახალი სხივიდან“, კირილე ნინიძე, მუხრან ხოჭოლავა, ნიკიფორე იმნაიშვილი.

5 ივნისს დააპატიმრეს ვარლამ შერვაშიძე (ს/დ), თუმცა გაათავისუფლეს ივლისის ბოლოს.

1921 წლის ივლისი

1921 წლის ივლისის დაპატიმრებები დაუკავშირდა იოსებ სტალინის საქართველოში ვიზიტს. 5 ივლისს ის თბილისში, მუშათა კლუბში სიტყვით გამოვიდა. დამსწრე საზოგადოება პროტესტს გამოხატავდა მის მიმართ. სტალინი დამფუძნებელი კრების დეპუტატებმაც გააკრიტიკეს - ისიდორე რამიშვილმა და ალექსანდრე დგებუაძემ. შეხვედრა ანტისაბჭოთა დემონსტრაციად გადაიქცა. სტალინის გადაწყვტილებით თანამდებობა დატოვა რევკომის თავმჯდომარე - ფილიპე მახარაძე ბუდუ მდივანმა ჩაანაცვლა და პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ მკაცრი რეპრესიები წამოიწყო.

სტალინის „გაბრაზების“ გამო 13 ივლისს დააპატიმრეს ისიდორე რამიშვილი (ს/დ), სილიბისტრო ჯიბლაძე (ს/დ), ალექსანდრე დგებუაძე (ს/დ), ალექსანდრე ლომთათიძე (ს/დ), ანდრო ჭიაბრიშვილი (ს/დ), სანდრო ფარნიევი (ს/დ) და გერასიმე მახარაძე (ს/დ). დააპატიმრეს ასევე გრიგოლ გიორგაძე (ს/დ), თუმცა ბრალ-

დება (ანტისაბჭოთა აგიტაცია) ვერ დაასაბუთეს და აგვისტოში გაათავისუფლეს

1921 წლის აგვისტო

კონტრრევოლუციონერობის ბრალდებით კიკეთში დააპატიმრეს ნოე ცინცაძე (ს/დ).

1921 წლის ნოემბერი

4 ნოემბერს საკუთარ სახლში კოტე ანდრონიკაშვილი (ს/დ) დააპატიმრეს. წლის ბოლოს კი გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

5 ნოემბერს დააპატიმრეს კონსტანტინე ფანიევი (ს/დ), თუმცა ბრალდება (კონტრრევოლუციისა და ანტისაბჭოთა აგიტაცია) ვერ დაუმტკიცეს და 6 დეკემბერს გაათავისუფლეს. ნოემბერშივე კვლავ დააპატიმრეს გრიგოლ ცინცაბაძე (ს/დ).

1921 წლის დეკემბერი

დააპატიმრეს ილია ბადრიძე (ს/დ). ბრალად მენშევიკების ლიდერობა და კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა წარუდგინეს.

დასკვნა

1921 წელს დამფუძნებელი კრების 29 დეპუტატი დააპატიმრეს აქედან: 2 - სომეხთა რევოლუციონური პარტია „დაშნაკცუთიუნის“ წევრი, 1 სოციალისტ-ფედერალისტი, 3 „ახალი სხივის“ წარმომადგენელი, 23 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენელი.

1921 წელს საბჭოთა რეპრესიები საქართველოში მხოლოდ იწყებოდა. კომუნისტური რეჟიმი ჯერ კიდევ მყარად ვერ გრძნობდა თავს რეპრესიებიც შედარებით „შეზღუდულ“ ხასიათს ატარებდა. მომდევნო წლებში რეპრესიებმა მასშტაბური ხასიათი მიიღო და საქართველოში მყოფ თითქმის ყველა დამფუძნებელი კრების წევრს შეეხო.

გამოყენებული ლიტერატურა

მაცაბერიძე, მ. ჯანელიძე, ო. იაკობაშვილი, ი. სურგულაძე, პ. ორჯონიკიძე, თ. ზედგინიძე, ნ. (2022). *საქართველოს დამფუძნებელი კრება; ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება.* თბილისი

საბჭოთა წარსული კვლევის ლაბორატორია. (2016). *საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919*

Malkhaz Matsaberidze. The War of February-March, 1921 and the Constituent Assembly of Georgia. 2021

26 მაისი მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში (1921-1922) – „პოლიტიკა“, 2019, N 4

Tamar Orjonikidze

The Deputies of the Constituent Assembly who Stayed in Georgia: The First Repressions

Abstract

According to the decree of the final session (March 17, 1921) of the Constituent Assembly of Georgia, those deputies of the Constituent Assembly who were under threat of repressions, should emigrate abroad. A great majority of deputies stayed in Georgia, although it turned out that under the Soviet occupation all of them were under the threat of repressions. The article deals with the „first wave“ of the Soviet repressions of 1921, when 29 deputies were arrested; although some of them were set free later on; but this was just the beginning of the repressions.

Key words: Democratic Republic of Georgia; the Constituent Assembly of Georgia; the Soviet Repressions;